ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №865523

ნომერი: AR1157252

თარიღი : 25.08.2013

გაცემის თარიღი : 29.08.2013

გაცნობის თარიღი : 13.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ა. წერეთლის გამზირი , N 87ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი მუჯირიშვილი პ/ნ 01006021615
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 6 ბ. 37

ორგანიზაცია:

- ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური კოდი: 204521794

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/1374-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 7.06.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა დადაგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის საკითხი, გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, შეაფასა საკითხთან დაკავშირებული მასალები, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოსული 2013 წლის 25 აგვისტოს NAR1157252 ელექტრონულ განცხადებაზე თანდართული ფოტომასალა, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი ცნობა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 103'–ის თანახმად შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობადამთავრებულ ობიექტს არ ეხება ამინისტია იმ შემთხვევაში თუ მას ეკისრება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მომატებისათვის დაწესებული თანხის გადახდა და აღნიშნული ვალდებულა არ აქვს შესრულებული (გადახდილი). ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ობიექტის მშენებლობა განხორციელდა პროექტის დარღვევით და ამ დარღვევების საფუძველზე მოხდა კ–2 კოეფიციენტის გადაჭარბება, რის შემდგომაც დამკვეთის მხრიდან დაყენებული იქნა მოთხოვნა ზონალურ საბჭოზე კ–2 კოეფიციენტის 3,9–მდე გაზრდის შესახებ. ვინაიდან მომატებული კოეფიციენტის საფუძველზე არ მომხდარა პროექტის შეთნამხება და ნებართვის გაცემა, შესაბამისად არც დამკვეთის მხრიდან ახალი გრაფიკის წარმოდგენა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.